

**სამაგისტრო პროგრამის დასახელება:** თარგმანის თეორია და პრაქტიკა

**მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი:** ფილოლოგიის მაგისტრი / MA in Philology

**სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი:** ასოცირებული პროფესორი ნანა გაფრინდაშვილი

**პროგრამის ანალოგები:**

1. University of Portsmouth (UK) MA/PgD Translation Studies.  
<http://www.port.ac.uk/courses/coursetypes/postgraduate/MAPgDTranslationStudies/>
2. Aston University of Birmingham. MA in Translation Studies.  
<http://www.aston.ac.uk/prospective-students/pg/pros/lss/06ts.jsp>;  
[http://www.cels.bham.ac.uk/prospectus/inhousema/ma\\_in\\_translation\\_studies.htm](http://www.cels.bham.ac.uk/prospectus/inhousema/ma_in_translation_studies.htm)
3. the University of Warwick. MA in Translation Studies. *Centre for Translation and Comparative Cultural Studies.* <http://www2.warwick.ac.uk/fac/arts/ctccs/>
4. The University of Sheffield. MA in Translation Studies.  
<http://www.sheffield.ac.uk/mltc/courses/pg/translation>

**სამაგისტრო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება:**

**ა) პროგრამის მიზანი**

პროგრამა განკუთვნილია მათთვის, ვისაც სურს აიმაღლოს თავისი პროფესიული კომპეტენცია უცხო ენების სფეროში და მიიღოს დამატებითი კვალიფიკაცია, რომელიც მას საშუალებას მისცემს ერთმანეთს შეუთავსოს და წარმატებით გამოიყენოს თავისი პროფესიული ცოდნა და მთარგმნელობითი უნარ-ჩვევები პროფესიული საქმიანობის დროს.

მაგისტრანტები შეისწავლიან თარგმანს, როგორც კულტურათაშორისი კომუნიკაციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანეს საშუალებას, როგორც პროცესსა და როგორც ტექსტს, მის ისტორიას, თარგმანის ზოგად და კერძო თეორიულ საფუძვლებს, ტექნიკასა და მეთოდებს, გამოიმუშავენ მთარგმნელობით უნარ-ჩვევებს, როგორც ორენოვანი კომუნიკაციის რთულ სისტემას.

პროგრამა მიზნად ისახავს:

- უცხო ენის ცოდნის ზოგადი დონის ამაღლებასა და დახვეწას;
- უცხო ენიდან ქართულად და ქართულიდან უცხო ენაზე თარგმნის უნივერსალური ჩვევების გამომუშავებას;
- თარგმანის სტრატეგიისა და მოდელების შესწავლას;
- თეორიული ცოდნის აქტიურ გამოყენებას პრაქტიკაში ენათაშორისი და კულტურათაშორისი კომუნიკაციის დროს;
- მონაცემთა ბაზითა და ლექსიკონებით პროფესიული მუშაობის უნარ-ჩვევების გამომუშავებასა და განვითარებას;
- სპეციალურ ტერმინოლოგიაზე მუშაობასა და პროფესიული ტერმინოლოგიური აპარატის გაფართოებას;
- სპეციალურ ტექსტებზე პრაქტიკულ მუშაობას;
- ტერმინოლოგიური ეკვივალენტებისა და მთარგმნელობითი შესატყვისობების მოძებნის უნარის განვითარებას;
- ქართული ენის ცოდნის სრულყოფას (პრაქტიკული გრამატიკა, ფუნქციური სტილისტიკა);
- ზეპირი და წერილი თარგმანის ტექნიკის დახვეწას;
- მთარგმნელობითი საქმიანობის კულტურათაშორისი ასპექტების სიღრმისეულ გაცნობას.

ყველა ეს კონკრეტული მიზანი ემსახურება შემდეგი ძირითადი ამოცანების გადაჭრას:

- მისცეს სტუდენტს ის ცოდნა და უნარები, რომლებიც უზრუნველყოფს მას დასაქმდეს თარგმანის სფეროში;
- განუვითაროს ის უნარ-ჩვევები, რომელთა დახმარებით იგი შეძლებს მომავალშიც სრულყოფს თავისი ცოდნა და გაიკეთოს წარმატებული კარიერა;
- გაითვალისწინოს ბაზრისა და დამსაქმებლის მოთხოვნები და მისი შესატყვისი ცოდნა მისცეს სტუდენტს;
- უზრუნველყოს როგორც დასაქმების, ასევე შესაბამისი და მომიჯნავე სპეციალობებით სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა;
- უზრუნველყოს სწავლისა და სწავლების მაღალი ხარისხი.

## ბ) სწავლის შედეგი:

- მაგისტრს შეუძლია სწორი მეთოდოლოგიური პოზიციებიდან თარგმანმცოდნეობის თეორიული საკითხების კვლევა და პრაქტიკული ამოცანების გადაჭრა და თავისი ცოდნისა და უნარების წარმატებით გამოყენება მულტიდისციპლინარულ კონტექსტში როგორც დამოუკიდებლად, ასევე სამუშაო ჯგუფთან ერთად.
- სიღრმისეული ცოდნა თარგმანის თეორიაში და თარგმნის კარგად განვითარებული უნივერსალური უნარ-ჩვევები, პროფესიული საქმიანობის სფეროში ზეპირი და წერიტი თარგმნის კარგად ჩამოყალიბებული სპეციალური უნარები, ზეპირი და წერიტი პრეზენტაციის დახვეწილი კულტურა, მაღალი ენობრივი და კულტურათაშორისი კომპეტენცია პროფესიული და საქმიანი ინტერესების სფეროში  
მაგისტრს აძლევს იმის შესაძლებლობას, რომ დამოუკიდებლად გაართვას თავი კომპლექსურ პრობლემებს, გამოიყენოს ან ორიგინალურად განავითაროს ახალი იდეები.
- მაგისტრს გააჩნია ცოდნის ინტეგრირების უნარი, რაც მას საშუალებას აძლევს თარგმანის პრობლემები განიხილოს კულტურათა დიალოგის ფართო კონტექსტში, კულტურისა და მეცნიერების განვითარების პრობლემებთან მჭიდრო მიზეზ-შედეგობრივ კავშირში, იმუშაოს ზუსტად, საჭიროების შემთხვევაში მოახდინოს თავისი უნარების ადაპტაცია ახალი თეორიული პრობლემების თუ პრაქტიკული ამოცანების ეფექტურად გადასაჭრელად.
- თარგმანმცოდნეობის თანამედროვე მიღწევების ცოდნა მაგისტრს საშუალებას მისცემს კრიტიკულად შეაფასოს, სინთეზურად და ინოვაციურად გადაჭრას თარგმანის თეორიული და პრაქტიკული პრობლემები.
- მაგისტრს შეუძლია დამოუკიდებლად მოიძიოს დამატებითი რესურსები და ენობრივი თუ კულტურათაშორისი კომუნიკაციის რთული პრობლემები იმ შემთხვევაშიც კი გადაჭრას, როცა მას მწირი ინფორმაცია აქვს.
- მაგისტრს თეორიული კვლევისა და პრაქტიკული მოღვაწეობის დროს სიღრმისეულად აქვს გაცნობიერებული როგორც პროფესიული, ასევე ეთიკური და მორალური პასუხისმგებლობა.
- მაგისტრს შეუძლია ნებისმიერი აუდიტორიის წინაშე საჯარო განხილვის დროს ლოგიკურად დაასაბუთოს და დაიცვას თავისი პოზიცია და თვალსაზრისი.
- მაგისტრატურაში შეძენილი ცოდნასა და უნარ-ჩვევებზე დაყრდნობით მაგისტრს შეუძლია მომავალში დამოუკიდებლად გააგრძელოს თავისი პროფესიული ცოდნის სრულყოფა.

## გ) დასაქმების სფეროები:

შრომით ბაზარზე არის მოთხოვნა ამ პროფილის სპეციალისტებზე. მათ შეიძლება იმუშაონ სხვადასხვა ტიპის საერთაშორისო, სახელმწიფო და კერძო დაწესებულებებში, სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში, უმაღლეს სასწავლებლებში, ნოტარიატებში, ბიბლიოთეკებში, მუზეუმებში, მასმედიის საშუალებებში, გამომცემლობებში ექსპერტებად, თარჯიმან-რეფერენტებად, მთარგმნელებად, რედაქტორებად, სტილისტებად და სხვა ან აწარმოონ დამოუკიდებელი მეცნიერული კვლევა.

**სწავლის გაგრძელების საშუალება:**

მაგისტრს შეუძლია სწავლა გააგრძელოს დოქტორანტურაში ამავე სპეციალობით ან მომიჯნავე სპეციალობებზე.

**სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წინაპირობები:**

ამ პროგრამაზე სწავლის გაგრძელების მსურველს:

- უნდა ჰქონდეს ბაკალავრის ხარისხი ან უნდა იყოს დიპლომირებული სპეციალისტი რომელიმე ჰუმანიტარულ დარგში ან სამართალმცოდნეობაში.
- უნდა ფლობდეს ინგლისურ, გერმანულ ან რუსულ ენას 1 დონეზე.
- უნდა ჩააბაროს პროგრამაზე მისაღები გამოცდა თარგმანის თეორიასა და ისტორიაში.
- პროგრამაზე დაშვება შესაძლებელია მხოლოდ ერთიანი სამაგისტრო გამოცდის ჩაბარების შემთხვევაში.

**კვლევითი კომპონენტი**

მაგისტრანტს შეუძლია, თავისი ინტერესებიდან გამომდინარე დაწეროს სამაგისტრო ნაშრომი თარგმანის ზოგადი და კერძო თეორიის, თარგმანის ისტორიის, ენათაშორის და კულტურათაშორის კომუნიკაციების პრობლემებზე, ენათა გრამატიკული თავისებურებებით გამოწვეულ მთარგმნელობით სირთულეებზე, თარგმანის ადეკვატურობის მიღწევის თეორიულ ასპექტებზე და ტრანსფორმაციის პრაქტიკული გზების ძიებაზე და სხვა.

სამაგისტრო ნაშრომად შეიძლება ჩაითვალოს, აგრეთვე, “სამაგისტრო თარგმანი”, ანუ მაგისტრანტის მიერ შესრულებული მნიშვნელოვანი სამეცნიერო ნაშრომის ან იურიდიული დოკუმენტის, სალექციო კურსის თარგმანი. თარგმანს უნდა ახლდეს მეცნიერულ-კრიტიკული კომენტარები, რომელშიც მაგისტრანტი დაახასიათებს წარმოდგენილ თარგმანს, წარმოაჩენს და აღწერს მასთან დაკავშირებულ მთარგმნელობით სირთულეებს და ლოგიკურად დაასაბუთებს მათი გადაჭრის გზებს.

სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები: ნაშრომი ფასდება ასბალიანი სისტემით.

N:	კრიტერიუმები	კრიტერიუმების განმარტება	მაქსიმალური ქულა
1.	ნაშრომის აქტუალობა	ნაშრომში დასმული პრობლემა უნდა იყოს აქტუალური და მნიშვნელოვანი	20
2.	ნაშრომის მეცნიერული სიახლე	ნაშრომი უნდა გამოირჩეოდეს მეცნიერული სიახლით, მაგისტრანტმა თავისი წვლილი უნდა შეიტანოს პრობლემის კვლევაში	20
3.	პრობლემის ადეკვატური გააზრება, ნაშრომის შინაარსობრივი მხარე, მასალის ფლობა (ფაქტობრივი ინფორმაცია და სამეცნიერო ლიტერატურა)	მაგისტრანტს მოეთხოვება ვრცელი მსჯელობა განსახილველ საკითხზე და მის შესახებ არსებული სამეცნიერო ლიტერატურის ცოდნა, ფაქტობრივი სიზუსტის დაცვა	10
4.	ნაშრომის ორგანიზება, ლოგიკურად აგება და მსჯელობის თანმიმდევრობა	მაგისტრანტს მოეთხოვება მსჯელობის თანმიმდევრულობის დაცვა, აბზაცების გამოყოფა, ნაშრომის მონაკვეთების ლოგიკური დაკავშირება ერთმანეთთან	10
5.	მსჯელობის არგუმენტირება და	მაგისტრანტს მოეთხოვება მსჯელობის	20

	ციტირება	დასაბუთება და არგუმენტების გამყარება სათანადო მასალით	
6	კრიტიკული აზროვნებისა და ანალიზის უნარი	მაგისტრანტმა უნდა გამოავლინოს მასალის კრიტიკული გააზრების, ფაქტების განზოგადებისა და გაანალიზების უნარი	10
7	ნაშრომის ენობრივი მხარე	მაგისტრანტს მოეთხოვება აზრის ენობრივად ზუსტად და მკაფიოდ გამოხატვა და ნაწერის სტილისტურად გამართვა	10

**სამაგისტრო თარგმანის შეფასება:** სამაგისტრო ფასდება ასბალიანი სისტემით (თარგმანის ნაწილი 50 ქულა, სამეცნიერო-კრიტიკული კომენტარები 50 ქულა).

**თარგმანის შეფასების კრიტერიუმები:**

N	კრიტერიუმები	კრიტერიუმების განმარტება	მაქსიმალური ქულა
1.	თარგმანის სიზუსტე და ადეკვატურობა	მაგისტრანტს მოეთხოვება მოცემული ტექსტის სწორი და ადეკვატური თარგმანის შესრულება, შესაბამისი და მრავალფეროვანი ლექსიკური საშუალებების გამოყენება;	25
2.	თარგმანის ენობრივი მხარე	მაგისტრანტს მოეთხოვება ნათარგმნი ტექსტის ენობრივად გამართვა; მორფოლოგიური, სინტაქსური, სტილისტური და ორთოგრაფიულ-სტილისტური ნორმების დაცვა.	25

**სამეცნიერო-კრიტიკული კომენტარების შეფასების კრიტერიუმები:**

N:	კრიტერიუმები	კრიტერიუმების განმარტება	მაქსიმალური ქულა
1.	სათარგმნელად შერჩეული ნაშრომის აქტუალობა	ნაშრომში დასმული პრობლემა უნდა იყოს აქტუალური და მნიშვნელოვანი	10
2.	თარგმანმცოდნეობითი პრობლემის ადეკვატური გააზრება, მასალის ფლობა (ფაქტობრივი ინფორმაცია და სამეცნიერო ლიტერატურა)	მაგისტრანტს მოეთხოვება ვრცელი მსჯელობა განსახილველი საკითხზე და მის შესახებ არსებული სამეცნიერო ლიტერატურის ცოდნა, ფაქტობრივი სიზუსტის დაცვა	10
3.	სამეცნიერო-კრიტიკული კომენტარის ორგანიზება, ლოგიკურად აგება და მსჯელობის თანმიმდევრობა, მსჯელობის არგუმენტირება და ციტირება	მაგისტრანტს მოეთხოვება მსჯელობის თანმიმდევრულობის დაცვა, აბზაცების გამოყოფა, ნაშრომის მონაკვეთების ლოგიკური დაკავშირება ერთმანეთთან, მაგისტრანტს მოეთხოვება მსჯელობის დასაბუთება და არგუმენტების გამყარება სათანადო მასალით	10
4.	კრიტიკული აზროვნებისა და ანალიზის უნარი	მაგისტრანტმა უნდა გამოავლინოს მასალის კრიტიკული გააზრებისა, ფაქტების განზოგადებისა და გაანალიზების უნარი	10
5.	ნაშრომის ენობრივი მხარე	მაგისტრანტს მოეთხოვება აზრის ენობრივად ზუსტად და მკაფიოდ გამოხატვა და ნაწერის სტილისტურად გამართვა	10

**სამაგისტრო პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.**

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის, იურიდიული ფაკულტეტის ბიბლიოთეკები, თსუ სამეცნიერო ბიბლიოთეკა, უნივერსიტეტის რესურსცენტრი.

**სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა**

№	სასწავლო კურსის დასახელება	სასწავლო კურსის სტატუსი: სავალდებულო, არჩევითი	კრედიტების საერთო რაოდენობა
<b>პროგრამის სავალდებულო საგნები</b>			
	ინგლისური ენა / რუსული ენა/ გერმანული ენა	სავალდებულო	15
	ქართული ენის პრაქტიკული კურსი	სავალდებულო	10
	თარგმანმცოდნეობა	სავალდებულო	10
<b>დარგობრივი თარგმანი (ჰუმანიტარებისათვის) (ინგლისურენოვანი/გერმანულენოვანი იურიდიული დოკუმენტების თარგმანი)“</b>			
	სამართლისმცოდნეობა	სავალდებულო	10
	თარგმანის პრაქტიკული კურსი (ინგლისურენოვანი//გერმანულენოვანი იურიდიული დოკუმენტაციის თარგმანი)	სავალდებულო	15
	კანონის ენა	სავალდებულო	5
<b>ფართო პროფილის თარგმანი (ინგლისური, გერმანული//რუსული ენები)</b>			
	თარგმანის პრაქტიკული კურსი (რუსულენოვანი ლიტერატურულ-თეორიული ტექსტის თარგმანა//გერმანულენოვანი ტექსტის თარგმანა)	სავალდებულო	15
	ზეპირი და ეკრანული თარგმანი - ინგლისური/გერმანული/რუსული (პრაქტიკული კურსი)	სავალდებულო	10
	ევროპულ-ქართული მთარგმნელობითი ურთიერთობები	სავალდებულო	5
<b>არჩევითი კურსები</b>			
	პრაქტიკული რიტორიკა	არჩევითი	5
	მხატვრული თარგმანის ანალიზი და კრიტიკა (პრაქტიკული კურსი)	არჩევითი	5
	შეპირისპირებითი სტილისტიკა	არჩევითი	5
	ტექსტის თარგმანამდელი ანალიზი	არჩევითი	5
	რუსული ენის ლექსიკოლოგია	არჩევითი	5
	რუსულ-ქართული მთარგმნელობითი ურთიერთობები	არჩევითი	5

ქართული ენის ფუნქციური გრამატიკა (არაქართულენოვანთათვის)	არჩევითი	5
ზეპირი და ევრანული თარგმანი – ინგლისური/გერმანული/რუსული (პრაქტიკული კურსი)	არჩევითი	10
ქართული ენის პრაქტიკული კურსი	არჩევითი	5
აკადემიური წერა	არჩევითი	5
ლიტერატურული კომპარატივისტიკა	არჩევითი	5
ლათინური ენა	არჩევითი	5
XX საუკუნის თარგმანის ისტორია (თეორიული ასპექტები)	არჩევითი	5
აკადემიური წერა	არჩევითი	5
კონსტიტუციური სამართალი	არჩევითი	5
შესავალი სამოქალაქო სამართალში	არჩევითი	5
სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი	არჩევითი	5
ქართული სამართლის ისტორია	არჩევითი	5
რომის სამართალი(საფუძვლები)	არჩევითი	5
შესავალი სამართალმცოდნეობაში	არჩევითი	5
<b>სამაგისტრო ნაშრომი</b>	სავალდებულო	<b>120</b>

**მაგისტრატურაში ჩარიცხვის მსურველი უნდა იცნობდეს შემდეგ ტერმინებს:**

1. ადეკვატური თარგმანი
2. ადაპტირებული თარგმანი
3. ავტორისეული თარგმანი
4. ბილინგვიზმი
5. განმარტებითი ლექსიკონი
6. დარგობრივი ლექსიკონი
7. დასურათებული ლექსიკონი
8. დიალექტოლოგიური ლექსიკონი
9. ენციკლოპედიური ლექსიკონი
10. თარგმანის ლექსიკონი
11. სასკოლო ლექსიკონი
12. მრავალენოვანი ლექსიკონი
13. ორენოვანი საგნობრივი ლექსიკონი
14. ფრაზეოლოგიური ლექსიკონი
15. დედანი (თარგმანში)
16. დედნის (თარგმანის დედნის) სპეციფიკა
17. ეთნოკულტურული რეალიები
18. ენა-შუამავალი
19. ერთაშორისი ურთიერთობის ენა
20. ვერბალური კომუნიკაცია
21. ზეპირად თარგმნა
22. თავისუფალი თარგმანი
23. თარგმანის თარგმანი
24. თარგმანება
25. თარჯიმანი

26. მთარგმნელი
  27. მთარგმნელის ცრუმეგობრები
  28. მხატვრული თარგმანი
  29. საგაზეთო-ინფორმაციული თარგმანი
  30. სამეცნიერო ლიტერატურის თარგმანი
  31. სამეცნიერო-ტექნიკური ტექსტის თარგმანი
  32. ორიგინალის ენა
  33. პწკარედი
  34. უეკვივალენტო ლექსიკა
  35. წერილობითი თარგმანი
  36. თარგმნა
  37. თარგმნადობა
  38. ეკვივალენტი
  39. თარგმნის პრაქტიკა
  40. ლექსიკა
- (იხ. თარგმანის ლექსიკონი, თბ., თსუ გამომცემლობა, 2001 )

#### საგამოცდო საკითხები

1. ქართული თარგმანის ისტორიის საკითხები (გ. გაჩეჩილაძე, მხატვრული თარგმანის თეორიის საკითხები, თბ.,1958. გვ.5-77)
2. ევროპეიზმის დამკვიდრების პროცესი ქართული თარგმანის ისტორიაში (დ. ფანჯიკიძე, ენა, თარგმანი, მკითხველი, თბ.,2002. გვ. 10-29)
3. საქართველოში თარგმანის თეორიის განვითარების ისტორია (დ. ფანჯიკიძე, ენა, თარგმანი, მკითხველი, თბ.,2002. გვ. 29-36)
4. თარგმნის პროცესისა და თარგმანის ინტერპრეტაცია თანამედროვე თეორიებში ( დ. ფანჯიკიძე, თარგმანის ახალი თეორიები და სტილის ეკვივალენტობის პრობლემა. თბ., განათლება, 1995. გვ. 6-48)
5. მთარგმნელის ინდივიდუალური სტილი და თარგმანის ენის პრობლემა (დ. ფანჯიკიძე, თარგმანის თეორია და პრაქტიკა. თბ., 1988,გვ. 23-30).

#### ლიტერატურა:

1. გ. გაჩეჩილაძე, მხატვრული თარგმანის თეორიის საკითხები, თბ.,1958.
2. თარგმანის ლექსიკონი, თბ., თსუ გამომცემლობა, 2001
3. დ. ფანჯიკიძე, ენა, თარგმანი, მკითხველი, თბ.,2002.
4. დ. ფანჯიკიძე, თარგმანის ახალი თეორიები და სტილის ეკვივალენტობის პრობლემა. თბ., განათლება, 1995
5. დ. ფანჯიკიძე, თარგმანის თეორია და პრაქტიკა. თბ., 1988

#### დაწერეთ

- იმსჯელეთ მთარგმნელის როლსა და დანიშნულებაზე დღევანდელ საზოგადოებაში
- იმსჯელეთ, რომელი თარგმანის შესრულება უფრო რთულია; ზეპირი თუ წერიითი. თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ.
- რა სირთულეებს შეხვედრიხართ პრაქტიკული მთარგმნელობითი საქმიანობის დროს

- იმსჯელებთ, ვინ სჯობს შეასრულოს დარგობრივი თარგმანი, დარგის სპეციალისტმა თუ მთარგმნელმა-ფილოლოგმა. თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ.
- თქვენი აზრით, რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს პროფესიონალი მთარგმნელი. თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ.